მოგვარდება თუ არა ამ ეტაპზე საბაზისო დონეზე ანასეულისა და ექადიის მოსახლეობის წყლით მომარაგების საკითხი და დამტკიცდება თუ არა ახალი წყალსადენის მრავალმილიონიანი პროექტი

თემურ მარშანიშვილი

ანასეულის წყლის, უფრო სწორად უწყლობის, ყველაზე რეზონანსულ თემას ყველა თავის ჭკუაზე ატრიალებს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც დღემდე ვერ გარკვეულან ანასეული დაბაა თუ ქალაქის ერთ-ერთი უბანი.

რაც შეეხება გასულ ხუთშაბათს, 21 ივნისს აქ გამართულ შეკრებას, ეს იყო ამ თემაზე ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის არჩილ თალაკვაძის შეხვედრა ანასეულელებთან და არა აქაური მოსახლეობის მიერ მოწყობილი აქცია.

პრობლემა მართლაც ოპერატიულად მოსაგვარებელია, გარდა იმისა, რომ ანასეულისა და ექადიის მოსახლეობა ფაქტობრივად უწყლოდ არის დარჩენილი, ლამის ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოხლოდ გადაეკიდონ ანასეულელები და ლიხაურელები. წყალსადენით, რომლის სათავე ნაგებობა აჭაში მდებარეობს, დღეს ფაქტობრივად ლიხაური სარგებლობს. აქ იკვეთება ანასეულისა და ექადიის მოსახლეობის უწყლოდ დარჩენის ორი მიზეზი: პირველი – სათავე ნაგებობაზე წყლის მნიშვნელოვანი კლება და მეორე – ლიხაურის ტერიტორიაზე ანასეულის მილზე ლიხაურელი მოსახლეობის უნებართვო მიერთებები, მაშინ, როცა სათავე ნაგებობიდან მთელ ტრასაზე ლიხაურის მილი განცალკევებით არის ჩადებული. სხვადასხვა მთავრობის დროს ეს უნებართვო მიერთებები რამდენჯერაც ჩაჭრეს, იმდენჯერვე აღადგინა მოსახლეობამ. საქმეს მაშინ ისევე ვერ უშველა პოლიციის ჩარევამ, როგორც ახლა გრაფიკის შემოღებამ, რომლის მიხედვით, მომხმარებლებს თითქოს დღეგამოშვებით, მორიგეობით მიეწოდებათ წყალი. რომელ გრაფიკზე შეიძლება საუბარი, როცა ყოველ მეორე დღეს ანასეულში წყლის მიწოდების ხანგრძლივობა ორ საათსაც ვერ აღწევს?! უფრო მაინც, წყალსადენის თაობაზე „არა შენიაარა ჩემიას“ დავის შედეგია ის, რომ ანასეული და ექადია „მშრალზე“ დარჩა.

არჩილ თალაკვაძე, როგორც თვითონ აღნიშნა, საკმაოდ ინფორმირებული იყო ამ საკითხზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის **ლავრენტი**

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 25 (10270) 25 ივნისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ფაროსანას წინაალმდეგ შეწამვლითი სამუშაოების მეორე ეტაპი მიმდინარეობს

თერმული ნისლის ტექნოლოგიით სოფლების ტერიტორიები იწამლება, ცივი შესხურების აგრეგატის გამოყენებით კი ტყის და სოფლების პერიმეტრები, სადაც „მოიზიდე და მოკალის“ სადგურებია დამონტაჟებული. პირველ ეტაპზე რეგიონში თერმული ნისლის გამოყენებით 30 000 ჰექტარამდე ფართობი შეიწამლა, ცივი შესხურების აგრეგატით კი 10-00 ჰექტარზე მეტი.

უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, სამუშაოების დაწყების შესახებ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მოსახლეობის ინფორმირება წინასწარ ხდება, ინფორმაცია ვრცელდება მედიის საშუალებითაც.

რეკომენდებულია სასმელი წყლის ჭების დახურვა.

წამლობისას მიმდებარე ტერიტორიებს მოარიდეთ ბავშვები, ფრინველები და საქონელი.

დახურეთ ფანჯრები.

ბოხვაური-შემოქმედის გზის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია

ალიონი. მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მერიის წარმომადგენლებმა მოინახულეს.

აღნიშნული გზის რეაბილიტაცია ორი წლის წინ დაიწყო. ამ ეტაპზე 1355 მეტრი გზის მოასფალტება მიმდინარეობს.

სამუშაოებს შპს „ფემინი კონსტრაქშენ გრუპი“ ასრულებს.

პროექტის ღირებულება 494 214 ლარს შეადგენს.

ცხელი პოლიტიკური კვირა ოზურგეთში

ალიონი. *ერთი კვირა მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატების საპროტექსტო აქცია. ისინი თავიანთ მხარდამჭერებთან ერთად დეპუტატ ბესო ქათამაძის ცემის ფაქტს აპროტესტებდნენ. გასულ პარასკევს შიმშილობის აქცია დასრულდა.*

15 ივნისს, ოზურგეთის ადმინისტრაციულ შენობაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ, დეპუტატ ბესო ქათამაძის ცემის ფაქტზე, „ქართული ოცნების“ დეპუტატ გელა არუშიძეს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა. 17 ივნისს, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მოსამართლე მარინა კიკნაძე), სასამართლო პროცესი გაიმართა.

სასამართლო პროცესზე გელა (ტარიელ) არუშიძის ადვოკატმა **მერაბ ფუტკარაია**მ განაცხადა, რომ გელა არუშიძემ ბესო ქათამაძეს ესროლა მაგიდის დროშის სამაგრი, რადგან იგი აღელვებული იყო.

თავად **გელა (ტარიელ) არუშიძემ** განაცხადა, რომ მომხდარზე თავს ნაწილობრივ დამნაშავედ ცნობდა.

მოსამართლე მარინა კიკვაძემ დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალდების მოთხოვნა და არუშიძეს 5000 ლარიანი გირაოს გადახდა დააკისრა. პროცესის დასრულების შემდეგ, ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა **შოთა ჩხაიძემ** ცენტრალური და ადგილობრივლ მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან განაცხადა, რომ მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება და არაა გამორიცხული, არუშიძეს ბრალი დაუმძიმდეს.

სასამართლოს მომდევნო სხდომა 14 აგვისტოსთვის ჩაინიშნა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ** იმავე დღეს ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართა.

ისინი არუშიძეზე წაყენებული 126-ე მუხლის გადაკვალიფიცირებას და დამძიმებას, თავდასხმაში მონაწილე ყველა დეპუტატის ჯერ თანამდებობიდან გადადგომას, შემდეგ მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტას და სისხლის სამართლებრივ დევნას ითხოვდნენ.

იმის გამო, რომ მათი მოთხოვნები არ იქნა გათვალისწინებული, ოზურგეთის პოლიციის წინ მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამმა დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ **ბესო ქათამაძემ, დავით მჟავანაძემ, თორნიკე გოგუაძემ** 17 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში შიმშილობის აქცია დაიწყეს.

დილით, მუნიციპალიტეტის შენობის წინ შეიკრიბნენ დეპუტატ ბესო ქათამაძის მხარდამჭერები დაბა ნასაკირალიდან, ლაითურიდან, მთისპირიდან და მეზობელი მუნიციპალიტეტების რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან.

როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივმა ლიდერმა **დავით მჟავანაძემ** გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, ინფორმაცია დაანონსებული აქციის შესახებ სოციალური ქსელების საშუალებით გაავრცელა და აქ ის ადამიანები მოვიდნენ, რომ-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო ქომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

მოგვარდება თუ არა ამ ეტაპზე საბაზისო დონეზე ანასეულისა და ექადიის მოსახლეობის წყლით მომარაგების საკითხი და დამტკიცდება თუ არა ახალი წყალსადენის მრავალმილიონიანი პროექტი

ბიგვავასგან, მაგრამ, პირველ რიგში, მაინც მოსახლეობის აზრით დაინტერესდა:

„ბატონი ლავრენტი პირადად მომიყვა რა პრობლემებია ანასეულსა და ექადიაზე წყალთან დაკავშირებით, მაგრამ მე, პირველ რიგში, თქვენგან მაინტერესებს კონკრეტული ინფორმაციები, რა მიგაჩნიათ მიზანშეწონილად პრობლემის გადასაჭრელად. რა უნდა მოვითხოვოთ, რა უნდა ვთხოვო მე მთავრობას, რისი გამოყოფა და რისი ჩადებაა საჭირო, რომ ეს საკითხი გადაიჭრას. პირდაპირ გეტყვით, რომ აქ სრულიად ახალი სტრუქტურის შეცვლა არის მრავალმილიონიანი პროექტი. თუ დღეს არ დავამუშავეთ ეს საკითხი, თქვენ არ დამეხმარეთ, თქვენი მოთხოვნა არ გადავეცი შესაბამის მინისტრს (სამ კვირაში ჩვენ დავამტკიცებთ მთავრობის ახალ შემადგენლობას), რა თქმა უნდა, გამიჭირდება, დაგპირდეთ მრავალმილიონიანი პროექტის განხორციელება. ამიტომ, სანამ ეს დიდი პროექტი განხორციელდება, მე მაინტერესებს თქვენგან, რა შეგვიძლია დავხარჯოთ, რა შეგვიძლია მოვაგვაროთ, რათა წყლის პრობლემა ამ ეტაპზე გადაწყდეს ისე, რომ საბაზისო დონეზე მაინც გქონდეთ მომარაგება.

მზად ვარ, რომ ყველაზე მაღალ დონეზე დავაყენო ეს საკითხი. უბრალოდ, რაც ვიცი ამ პროექტის შესახებ, ისა, რომ მრავალმილიონიანი პროექტია, მაგრამ ასევე მაინტერესებს კონკრეტულად ანასეულელებისაგან, ექადიელებისაგან, რა და როგორ გავაკეთოთ ამ მრავალმილიონიანი პროექტის დამტკიცებამდე“.

ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ მუშაკი, ამჟამად პენსიონერი, ქალბატონი **ჯილდა ლოლაძე** ანასეულის უწყლოდ დატოვებაში მხოლოდ ლიხაურელების ბრალეულობას არ ხედავს, მისი აზრით, დამნაშავეა ადგილობრივი ხელმძღვანელებიც. ქალბატონი ჯილდა წყლის განცალკევებულად პლასტმასის მილებით გამოყვანას ითხოვს:

„ჩვენ რაც დაგვემართა, ეს არ არის მხოლოდ სხვისი და იმ სოფლის დანაშაული, ეს არის ჩვენი ადგილობრივების დანაშაული, ხელმძღვანელები მყავს მხედველობაში. ეს არც მაშინ დამიმალავს და არც ახლა ვმალავ.

აჭის სათავე ნაგებობიდან წყალი ჩამოედინება ლიხაურში. იმ სოფლის დასაწყისიდან ჩვენამდე, აი, აგერ, მაღალ კოშკზე მოთავსებულ გამანაწილებელ რეზერვუარამდე პლასმასის მილები გაგვიკეთეთ. ვიცით, ის დიდი პროექტი მილიონები ჯდება, მაგრამ მილიონის მესამედი მაინც დახარჯეთ ამ საქმეზე“.

არჩილ თალაკვაძე: რამდენი კილომეტრია?

ლავრენტი ბიგვავა: თერთმეტნახევარი კილომეტრია. გოფრირებულ მილებზეა საუბარი, რომელზედაც დაერთებას ვერ აკეთებენ. მაგრამ ეს არის ძალიან ძვირი.

ჯილდა ლოლაძე: ძალიან გვიშველის ამ მომენტში.

არჩილ თალაკვაძე: რა დიამეტრისაა?

ლავრენტი ბიგვავა: ორასორმოცდაათი, უფრო ზუსტად, ორასცხრამეტი.

ჯილდა ლოლაძე: რაც მოხდა, მოხდა, აღარ ვლაპარაკობ, ახლა გვიშველეთ რაცხა. ანასეულში არასდროს იყო ის ხალხი, ვინმეს წყლისთვის გაკიდებოდა. წყალი ყველას გვინდა და ეს ყველაზე უკეთ იციან ანასეულელებმა. დაგვპირდნენ გრაფიკით, დღეგამოშვებით გვექნებოდა, მაგრამ არ ხდება ასე, დიდი-დიდი ორი საათით თუ მოვიდა.

არჩილ თალაკვაძე: ყოველ მეორე დღეს მხოლოდ ორი საათით?

ხალხი: დიახ.

არჩილ თალაკვაძე: და იმათაც ორი საათით?

ჯილდა ლოლაძე: არა. იქ თითქმის ყოველთვისაა. არ გამოდის ეგ გრაფიკი, თორემ მაგაზედაც თითქმის თანახმა ვიყავით. რას შვებიან, ვინ შვება, რას აკეთებს, კაცი ამის განმკითხავი არ არის.

ლიანა შავიშვილი: აქ არც მდინარეა და არც ღელე ჩამოდის, ამიტომ წყალი ყოველთვის იყო დეფიციტი. სათავეზე წყლის ნაკლებობის შესახებ ითქვა, რაც, ჩემი აზრით, არ არის სწორი. ეს საკითხი თავის დროზე შესწავლილი იყო ყველანაირად – ეკოლოგიურად, ეკონომიკურად. ჩვენთან იყო ელექტროძრავებზე წყალი, არ გაამართლა. ამიტომ წავიდნენ და ჩამოიტანეს უნიკალური პროექტი, შემოწმდა, უნიკალური წყალია, მოდის თვითდინებით და ჯდება იაფი. მოსახლეობა მეტი იყო, მუშაობაც მეტი იყო, ინსტიტუტი უფრო დიდი იყო და გვყოფნიდა ეს წყალი. ზაფხულიც იყო და გვალვაც იყო. არ ვიცი, რატომ დადგა ახალი წყალსადენის საკითხი. განცხადება დავწერეთ, აგერ გადმოგცემთ ასლს, რომ შეისწავლონ სპეციალისტებმა, შესაბამისი დასკვნა დადოს კომისიამ.

არჩილ თალაკვაძე: განსხვავებული მოსაზრება ხომ არ აქვს ვინმეს?

სიმონ კონტრიძე: იმედაშვილის ქუჩაზე ორხიდიანი მანქანა ვერ გადავა, თუ გინდათ, შევამოწმოთ. საშინელებაა, თუ არ გაკეთდა.

ლავრენტი ბიგვავა: კი, მართლაც ცუდი მდგომარეობაა, ვმუშაობთ მაგ საკითხზე, მაგრამ ახლა წყალზე ვსაუბრობთ. წყლის პრობლემის შუალედური მოგვარების ერთადერთი გზა არის ამ ქსელის რეაბილიტაცია, ლიხაურის ტერიტორიაზე დაზიანებულია...

ჯილდა ლოლაძე: არ გამოვა, ვერ გეთანხმებით.

ლავრენტი ბიგვავა: მაცადე, ქალბატონო სიტყვა, რას ვერ დამეთანხმები, ამაში შედის, რა თქმა უნდა, ჩაჭრები, უნდა ჩაიჭრას, აქ იყვნენ ჩვენი წარმომადგენლები დაათვალიერეს სათავე ნაგებობა...

არჩილ თალაკვაძე: თუ არ გავიგე, რა გჭირდებათ, ვერანაირად ვერ დაგეხმარებით

ლავრენტი ბიგვავა: ეს წყალი არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და სასწრაფოდ უნდა აიღოს ბალანსზე მუნიციპალიტეტმა. ეს არის დასაჩქარებელი თემა.

ჯილდა ლოლაძე: არ გამოვა, ლავრენტი, უნდა შეგაწყვეტინო, აღარა მაქვს მოთმენა. ხუთი წლის უკან, შვილო, აქ ვმუშაობდი მე. ახლა ოთხმოცი წლისა ვარ, ერთი ჭიქა წყალი არ მეკუთვნის? ლიხაურამდე რომ მოდის წყალი, მოსახლეობაში რომ შედის, ეცადე, იქედან როგორმე პლასტმასის მილებით გამოგვიყვანონ, რომ მიერთებები არ მოხდეს და მოაღწიოს ჩვენამდე.

არჩილ თალაკვაძე: სწრაფად რომ გადავჭრათ ეს საკითხი, გეტყვით ჩემს მოსაზრებას. აქ ვინცა ხართ შეკრებილი, ჩემთვის თითოეული მაგალითი ხართ იმისა, რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, რომ ხელისუფლებამ პრობლემა მოაგვაროს. ამას მივესალმები, როგორც პარლამენტარი და ყველამ თუ არ ვიაქტიურეთ, არ ვიმსჯელეთ, ისე გამოსავალი არ მოიძებნება. შემდეგი ნაბიჯები რომ სწრაფად გადაიდგას და მე, როგორც დეპუტატმა, კონკრეტულად ჩემი ძალა გამოვიყენო, მჭირდება შემდეგი; იქნებ შექმნათ ჯგუფი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველას ინტერესს წარმოადგენს, მოკლედ ჩამოწეროთ, რა გვჭირდება შემდეგი ერთი თვის, თვენახევრის განმავლობაში ამ ეტაპზე პრობლემის გადასაწყვეტად, შემდეგ კი, როდესაც უკვე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი დამტკიცდება...

ჯილდა ლოლაძე: კი, თუ დამტკიცდება.

არჩილ თალაკვაძე: რატომ არა? დამტკიცდება, ქალბატონო.

ჯილდა ლოლაძე: ყველაზე კარგი გამოსავალი გითხარით და რატომ ვამბობ დაჟინებით ამას? იმიტომ, რომ ხუთი წლის წინათ ამაზე უარეს დღეში ჩავვარდით, შვილო. ამიტომ არავის აღარ გვჯერა, რომ იქ ჩაიჭრება და ისევ არ შეაერთებენ, მაგისი მაგალითი გვაქვს უკვე ათი წლია, პოლიციის ძალით გადავჭერით, მერე ისევ შეაერთეს. არაფერი შველის მაგას. სანამ პროექტი გაკეთდება, მანამდე გთხოვთ, რომ იმისი ალბათ მესამედი დაჯდება, რაც უნდა დაჯდეს, ლიხაურის სოფლის დასაწყისიდან წყალი პლასტმასის მილებით ამოგვიყვანეთ გამანაწილებელ რეზერვუარამდე, რომ არ ჩაიჭრას სადმე, მეტი არაფერი.

არჩილ თალაკვაძე: ყველა ეთანხმება?

ხალხი: დიახ, ოღონდ ძველი მაგისტრალი (ანასეულისა) უნდა გაუქმდეს, ისე აზრი არ აქვს.

ანასეულელი ავთო სალუქვაძე, ვისაც წლების განმავლობაში ებარა ეს წყალსადენი და ყველაზე უკეთ იცის მისი ავან-ჩავანი, ამბობს რომ სწორედ გოფრირებული მილების ჩაყრაა ყველაზე უკეთესი გამოსავალი:

„ლიხაურში რომ შედის წყალი, იქედან გავთხაროთ ახალი გზა, ჩავყაროთ გოფრირებული მილები, საყვავილე რომ არის იქამდე, მერე ამ ახალ მილებს რომ დავმარხავთ, მხოლოდ ერთი დღე დასჭირდება ძველი მილებიდან გადმოერთებას და ფაქტობრივად ლიხაური ჩამოშორდება. დღეს ლიხაურელი მოსახლეობის სულ ცოტა, 60 პროცენტი ანასეულის მილზეა მიერთებული, მაგრამ ისინი უწყლოდ არ დარჩებიან, რადგან საკუთარი მილიც აქვთ“.

არჩილ ჩხაიძე: მოდით, ასე გავაკეთოთ, მე ამ შეხვედრიდან გამოვიტანე შემდეგი დასკვნა – დღესვე, უკვე აქედანვე კომუნიკაცია მექნება იმასთან, ვისაც ევალება ამ საკითხის გადაჭრა, უახლოეს დღეებში ჩვენ ჩამოვალთ აქ იმ ხალხთან ერთად, ვინაც ამაზე კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას. მოვუსმინოთ ჩვენ ერთად, ვთქვათ, რა კორექტივები გვექნება მათ გეგმებზე. იმ მომენტიდან, როდესაც მე დავინახავ, რომ ანასეულის მოსახლეობის დავალება და პროფესიონალების, ექსპერტებისა და ინჟინრების ხედვა შეჯერებულია, მზად ვიქნები, რომ პროექტის განხორციელებაში მაქსიმალური ძალისხმევა დავხარჯო. მე ბატონ ლავრენტის დავუკავშირდები, ჩამოვალ აქ, ეს მოხდება ძალიან უმოკლეს დროში, შევიკრიბოთ ისევ, მოვუსმინოთ ამ ადამიანებს, როგორ ხედავენ ამის გადაჭრას, ვუთხრათ ჩვენი კორექტივები, ჩამოვართვათ ხელი, რომ სახელმწიფომ, უფრო სწორად მთავრობამ, პარლამენტმა და ხალხმაც იცოდნენ, რას ვაკეთებთ. შევთანხმდეთ, მერე არ იყოს, იმან რაღაცა ვერ გაიგო, ხალხს სხვა აზრი ჰქონდა, დეპუტატმა სხვა დასკვნები გამოიტანაო. კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემს მზადყოფნას, რომ ბოლომდე ვიქნები თქვენს გვერდით, სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება. ეს არის ისეთი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში აღარ უნდა დარჩეს, ხალხს აქვს საფიქრალი სხვა რამეზე – ბიზნესზე, განათლებაზე, შვილების დასაქმებაზე... ამიტომ წყლის პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადავჭრათ და გადავიდეთ უკვე იმ საკითხებზე, რომელიც ჩვენს მოსახლეობას უკეთესი ცხოვრების საშუალებას მისცემს.

წინასწარ შეგატყობინებთ ამ შეხვედრის შესახებ, როგორ ახლა შეგატყობინეთ.

ხალხი: ძალიან გთხოვთ, ამას ნუ გადავდებთ.

ცხელი პოლიტიკური კვირა ოზურგეთში

ლებიც მოხდარი ძალადობის ფაქტის გამო პროტესტის გრძნობა გაუჩნდათ და სოლიდარობას უცხადებდნენ ბესო ქათამაძეს.

— დღევანდელი აქციის შესახებ ფეისბუქის საშუალებით გავიგე. გამიჩნდა პროტესტის გრძნობა, რადგან ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი სცემეს. მიმაჩნია, რომ განსხვავებული აზრის მიუხედავად, სახელმწიფოში დაცულები უნდა ვიყოთ —გვითხრა მაღალმთიანი სოფელ მთისპირის მცხოვრებმა **ანა ინწკირველმა.**

— რა შუაშია „ოცნება“ ან „ნაციონალი,“ ყველა საქართველოს შვილები ვართ და ყველას აქვს თავისი მოსაზრების გამოთქმის თუ გავრცელების უფლება. განსხვავებული აზრის გამო დეპუტატი არ უნდა სცემონ — თავისი აზრი ასე გამოხატა დაბა ლაითურის მცხოვრებმა **მაყვალა პატარაიამ.**

აქციაზე თავიანთი მოთხოვნები დააფიქსირეს „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა **დავით მჟავანაძემ** და **ბესო ქათამაძემ**. სიტყვებით გამოვიდნენ **ნიკანორ მელია, კობა ხაბაზი** და აღნიშნული პარტიის აქტივისტები მეზობელი მუნიციპალიტეტიდან. გარდა აქ დასახელებულებისა, აქციაზე ლევან ვარშალომიძე, დავით **კირკიტაძე** და ნაცმოძრაობის სხვა აქტივისტებიც იმყოფებოდნენ.

შუადღისას „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტაცია (ნიკანდრო მელია, დავით მჟავანაძე, ბესო ქათამაძე) ადმინისტრაციულ შენობაში შევიდნენ და დახურულ კარს მიღმა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან** მოლაპარაკება გამართეს.

საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში მოლაპარაკებისას მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს.

ადმინისტრაციული შენობის წინ აქცია გაგრძელდა. დავით მჟავანაძემ განაცხადა, რომ ისინი შიმშილობის აქციის დაწყებას გეგმავდნენ. დავით მჟავანაძეს აქციის მონაწილეებთან ერთად შენობაში შეჭრის საშუალება პოლიციამ არ მისცა.

დღის 4 საათისთვის აქცია დასრულდა. სამი დეპუტატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით მჟავანაძე, ბესო ქათამაძე, თორნიკე გოგუაძე საშიმშილოდ დასხდნენ.

ბესო ქათამაძის განცხადებით, თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, ისინი პარასკევს უფრო დიდი მასშტაბის აქციას მოაწყობდნენ.

19 ივნისს ბესო ქათამაძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ მისი მოთხოვნა იყო სასწრაფოდ მოეწვიათ მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. იგი კვლავ ითხოვდა ცემაში მონაწილე 4 დეპუტატის თანამდებობებიდან გადაყენებას, დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერებას და მათ ქმედებაზე გამოძიების დაწყებას.

მოშიმშილე დეპუტატების მოთხოვნებთან დაკავშირებით კომენტარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** გააკეთა:

— *ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წერილობითი წინადადება, რიგგარეშე სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით 18 ივნისს შემოვიდა კანცელარიაში და ამ ეტაპზე შესწავლის პროცესშია*—გვითხრა მან.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები დეპუტატის ცემის ფაქტს გამოეხმაურნენ და ერთობლივი განცხადება გაავრცელეს:

„მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში არჩეულ პირებს საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრიათ, ისინი თავიანთი მოქმედებებით უნდა იყვნენ სამაგალითო და მისაბაძი საზოგადოების დანარჩენი წევრებისთვის. ამ ფონზე განსაკუთრებით საგანგაშოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს ბრალი აქვს წაყენებული ცემის ან სხვავვარი ძალადობის გამო. ეს ფაქტი არამხოლოდ ცალკეულ დეპუტატს ან დეპუტატებს უტეხს სახელს, არამედ ზიანს აყენებს მთლიანად საკრებულოს რეპუტაციას.

ვიმედოვნებთ, რომ გამოძიება და სასამართლო პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია, იქნება ეფექტიანი და მოვუწოდებთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მიიღოს ქმედითი ზომები მომავალში მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის, რათა საკრებულოს წევრები, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა, დროსა და ენერგიას ხარჯავდნენ არა პირად ანგარიშსწორებებში, არამედ მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაში.“ —აცხადებდნენ ისინი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მისაღებში მოშიმშილე დეპუტატებს მათი კოლეგა ქ. ფოთის საკრებულოდან **დარეჯან ცქვიტარია** შეუერთდა. მათთან ჩამოვიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ბარამიძე.**

21 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ნაციონალი დეპუტატების მოთხოვნაზე რიგგარეშე სხდომის მოწვევევის შესახებ უარი უთხრა.

—<u>მოშიმშილეთა მოთხოვნა იყო არაკონსტიტუციური, მოწყვეტილი იყო ყველანაირ სამართლებრივ საფუძვლებს და შესაბამისად მათ ეთქვათ უარი რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე</u> —განაცხადა ჟურნალისტებთან **გიორგი ღურჯუმელიძემ.**

პარასკევს, 22 ივნისს ქ. ოზურგეთში მოშიმშილეთა მხარდასაჭერი შემაჯამებელი აქცია გაიმართა.

თავდაპირველად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მისაღებში, სადაც ფიზიკური დაპირისპირება მოხდა დავით მჟავანაძესა და სამართალდამცავებს შორის.. ამის მიზეზი გახდა ის, რომ საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის კარზე სიმბოლურად ლურჯი ფერის ჩაფხუტის მიჭედება სცადეს, რისი საშუალებაც მათ პოლიციამ არ მისცა.

—*არ მოხდა კარგი ფაქტი. კარგი იყო ხელისუფლებას დროზე მიეღო გადაწყვეტილება და ასეთი დაძაბულობა არ მიგვეღო* — გვითხრა აქციის წინ დაბა ნასაკირალის მეჩეთის მეჯლისის თავმჯდომარე **ვახტანგ გორგაძემ.**

დღის 4 საათზე მუნიციპალიტეტის შენობის წინ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან მოშიმშილეთა ათეულობით მხარდამჭერი შეგროვდა.მათ სიტყვით მიმართეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა **გიორგი ბარამიძემ, კობა ხაბაზმა,** ქ. თბილისის. ქ. ფოთის, ოზურეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოების დეპუტატებმა, **ლევან ხაბეიშვილმა, დარეჯან ცქვიტარიამ, ბესო ქათამაძემ, დავით მჟავანაძემ.**

—*ტყუილზე გადაიარა „ქართული ოცნების“ არჩევნებმა. თითქოს სანდრა ორგანოებით ვაჭრობდა, თითქოს ჩვენ კაცის მკვლელები ვიყავით, რომ ბენზინის ფულებით ვმდიდრდებოდით, რომ ელექტროენერგიის გადასახადებით ვმდიდრდებოდით. ახლა ხომ ხედავთ რაც ხდება? რას აკეთებენ ეს გაქსუებულები? საკუთარი სიმდიდრის მეტი რამე აინტერესებთ?* — აღნიშნა გია ბარამიძემ.

—*ჩვენ ამ ხუთდღიანი შიმშილობით მივაღწიეთ იმას, რომ ამ ხელისუფლებას ჩამოვხსენით ნიღაბი. ვაჩვენეთ საზოგადოებას, რომ მათ არ შეუძლიათ ის გაკეთონ, რაც კანონით ევალებათ. რიგგარეშე სხდომაც ვერ მოიწვიეს. არც ერთი ჩვენი მოთხოვნა არ არის შესრულებული. დაინახა ყველამ თუ რა სამარცხვინო ძალა მართავს ხელისუფლებას. არც ერთი დამნაშავე და ცემის ფაქტში მონაწილე პირი დასჯილი არ არის. ასეთი მმართველობა უნდა დასრულდეს* — თქვა **დავით მჟავანაძემ.**

დეპუტატებმა შიმშილობა შეწყვიტეს.

ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მათი საპროტესტო აქციები გაგრძელდება.

გაზეთი „ალიონი“ მთელი კვირის განმავლობაში ცდილობდა მომხდარზე კომენტარი მიეღო ბესო ქათამაძის მიერ დასახელებული დეპუტატებისაგან, მაგრამ მათ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე გაზეთთან კომენტარზე თავი შეიკავეს.

რას ფიქრობს ოზურგეთში გამართული აქციის შესახებ კობა ხაბაზი და როგორ აფასებს 2011 წლის მოვლენებს



ალიონი. 22 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ გამართულ აქციაზე ყოფილი პარლამენტარი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ კობა ხაბაზი იმყოფებოდა. მან გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი გააკეთა:

—*დღეს აქ ადამიანები იმისთვის მოვიდნენ, რომ ამ დანაშაულებრივ რეჟიმს უთხრან უარი, რომ მათი ადგილი აქ არ არის. ეს ხალხი აქ მოვიდა იმისათვის, რომ უსამართლობას არ შეეგუოს. ეს ხალხი ამ ხელისუფლებას ვერასდროს ვერ შეეგუებიან.*

— ბატონო კობა, ცოტა უკან გადავინაცვლოთ და ქ. ბათუმში 2011 წლის 22 მაისს აჭარის ტელევიზიის წინ გამართული აქცია გავიხსენოთ, რომელიც ხელისუფლებამ დაარბია და რამდენიმე აქტივისტი დაიჭირეს და ზეწოლას ახორციელებდნენ მათზე...

— *დღევანდელ აქციას თუ შევადარებთ, ყველამ ვიცით, რა იდგა ამ აქციის უკან; მაშინ კი ნინო ბურჯანაძე და „სახალხო კრება“*გრუ*ს ჯარებით იმუქრებოდნენ. მათ რუსეთის ჯარების შემოყვანა უნდოდათ.*

დღეს აქ მყოფი ადამიანები იბრძვიან უკეთესი საქართველოსთვის, ისინი კი — პუტინის რუსეთისათვის.

რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, მე არასდროს არ ვარ მომხრე მათი უფლებების დარღვევის, მაგრამ როცა სახელმწიფოს საფრთხე ემუქრება, როცა უნდათ გრუ-ს ჯარების შემოყვანა საქართველოში პასუხი ადეკვატური უნდა ყოფილიყო.

მე ყველა ადამიანს დავუდგები გვერდით, მაგრამ ნინო ბურჯანაძეს და მის თანამოაზრეებს —არასდროს.

P.S. 2014 წლის თებერვალში გაზეთი „ალიონი“ 2011 წლის 21-22 მაისს, ბათუმში „ერას მოედანზე“ და აჭარის ტელევიზიის წინ აქციის მონაწილეებს **გოჩა მუხაშავრიას, დავით ფარტენაძეს, ცოტნე ანანიძეს, ხვიჩა გამარჯობიძეს, ანზორ სოლომონიძეს, დიმიტრი ჭეიშვილს** და ოზურგეთელ **ვახტანგ სიორიძეს** შეხვდა, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებამ ციხეებში გამოკეტა. გთავაზობთ ამონარიდებს ამ ინტერვიუდან:

ანზორ სოლომონიძე: *„თუ ჩვენ გვექნებოდა ოჯახის წევრების უსაფრთხოების გარანტია, ამ შემთხვევაში ჩვენ არ მივდიოდით აღიარებაზე, მაგრამ როცა უკვე ღამის პირველ საათზე უშიშროების განსაკუთრებულ საქმეთა საქმეთა გამოძიების ჯგუფი გაღვიძებს, აგიყვანს ციხის უფროსის კაბინეტში და ქსეროასლებს დაგილაგებს ოჯახის წევრებისას და თანამებრძოლებისას, გეტყვიან, რომ ჩვენ კარგად გიცნობთ თქვენ, ულტიმატუმი იყო ან ბრალი უნდა გველიარებინა, ან ოჯახის წევრებისა და თანამებრძოლების მიმართ უნდა დაეწყოთ ომი.თან დასძინეს, თქვენ ბრალი დაგიმძიმდებათ, ახალ გარემოებათა გამო, იკვეთება რომ თქვენ აპირებდით შეიარაღებულ გადატრიალებას და ბრალი გედებათ სამშობლოს ღალატში.“*

„როცა გეგუთში გადაგვიყვანეს, ხვიჩა გამარჯობიძე და ცოტნე ანანიძე აღმოჩნდნენ ფიზიკური შეურაცყოფის მსხვერპლი. მათ სასტიკად გაუსწორდნენ...“

„უდანაშაულო კაცს, სამშობლოს სიყვარულისთვის გიჭერენ და გიმეტებენ მოსაკლავად, ამაზე მეტი შეურაცყოფა რა უნდა იყოს.“...

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

მუსიკალური სკოლა

ადა შეფერ-თაყაიშილის სახელს უკავშირდება ოზურგეთში მუსიკალური სკოლის გახსნა და აღორძინება.

ადა შეფერი გახლდათ ერთ-ერთ ულამაზესი, უმშვენიერესი უცხოელი მადილოსანი. იგი გურულების რძალი იყო,წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოზურგეთში.

რამდენიმე წლის წინათ შესაძლებლობა მომეცა გავსაუბრებოდი ადა შეფერისა და მიხეილ თაყაიშვილის შვილობილს ნათელა თაყაიშვილს (მცხ. ქ.ბათუმი ყოფილი ტელმანის 8), რომელმაც მიამბო:–ადა (იადვიგა) ვალერის ასული შეფერი ფრანგი ებრაელი იყო. დაიბადა პარიზში 1889 წელს. დედა პოლონელი ჰყავდა. მამა ვალერი შეფერი ფრანგი იყო, რომელიც მუშაობდა ბანკის მოხელედ. ადა სწავლობდა ქალთა პანსიონატ „სოკრეიერში“, სადაც ასწავლიდნენ ენებსა და მუსიკას. შაბათ-კვირას კი მშობლებს მიჰყავდათ სახლში.13 წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა.მამას შეურთავს მეორე ცოლი. ადას ვერ აუტანია დედინაცვალი და მალე გათხოვილა. გაჰყოლია მდიდარ მემამულეს წარმოშობით პოლონელს, რომელიც კარგი ბუნების კაცი ყოფილა, მაგრამ ერთი ცუდი ზნე ჰქონია ,ჰყვარებია ბანქოს თამაში და დილამდე შეეძლო ეთამაშა, სწორედ ამ მიზეზის გამო ძალიან მალე გაშორებია ადა მის პირველ მეუღლეს.

1917 წელის რევოლუციის შემდეგ ადა კიევში გამოჰყოლია მდიდარ ოჯახს გუვერანტკად. სწორედ კიევში გაეცნო მიხეილ ზევარის-ძე თაყაიშვილს .მიხეილს ძალიან მოსწონებია პირმშვენიერი ადა, შეჰყვარებია და მალე - 1917 წლის 27 აგვისტოს დაქორწინებულან კიდეც.

მიხეილ თაყაიშვილი წარმოსადეგი გარეგნობის, მომხიბვლელი პიროვნება ყოფილა. იგი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს ოზურგეთში, შეძლებული აზნაურის ოჯახში. განათლება მიიღო პეტერბურგში საგზაო ინჟინრის სპეციალობით.ნამყოფი იყო სპარსეთში საგზაო-საინჟინერო საქმის შესასწავლად. მიხეილ თაყაიშვილი ექვთიმე თაყაიშვილის მკვიდრი ბიძაშვილი იყო.

გარკვეული დროით ადა და მიხეილი ცხოვრობდნენ კიევში,შემდეგ გადმოვიდნენ თბილისში და ცხოვრობდნენ ყოფილ პლეხანოვის პროსპექტზე (ახლანდელი დავით აღმაშენებელი).

1936 წელს მიხეილი მეუღლესთან ერთად მშობლიურ ოზურგეთში გადმოვიდა საცხოვრებლად.როგორც კი ოზურგეთში ჩამოვიდნენ მიხეილ თაყაიშვილის უშუალო თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა მუსიკალური სკოლის ჩამოყალიბებას .

1936 წლიდან ოზურგეთში არსებობს მუსიკალური სკოლა .ადრე მუსიკალური სკოლა განთავსებული ყოფილა ადასა და მიხეილის სახცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე. სადაც ეკავა ორი საკლასო ოთახი. ომის წლებში უბინაობის გამო მუშაობა არ შეუწყეტია მოსწავლეები დადიოდნენ ადას ბინაში მეგობრობის ქუჩა 18-ში, სადაც მას ედგა „ ბეკერის“ ფირმის როიალი და ამეცადინებდა ბავშვებს.

ადას და მიხეილს საკუთარი შვილი არ ჰყოლიათ,ნათელა თაყაიშვილი გახლდათ მათი გაზრდილი, რომელიც ამჟამად ბათუმში ცხოვრობს არის მუსიკის მასწავლებელი,მის სახლში როგოც რელიკვია დღესაც ინახება ადას ნაქონი როიალი, სარკე ,წიგნები ავტოგრაფებით. მისი საყვარელი ქარვის დიდი მძივი საფლავში ჩაუყოლებიათ.

ამას წინათ გავიცანი ნათელა თაყაიშვილის ქალიშილი მაია ურუშაძე (ოზურგეთის სამუსიკო სკოლის ყოფილი პედაგოგი),რომელმაც დამიზუსტა ინორმაცია, რომ მისი ბებია ადა ვალერის ასული შეფერი ცხოვრობდა ოზურგეთში, მეგობრობის ქუჩა 18-ში, მუსიკალური სკოლის გახსნის დღიდან სკოლა ფუნქციონირებდა ადას სახლში, შემდეგ მუსიკალური სკოლა გადავიდა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (სავარაუდოდ ახლანდელი არქივის შენობის ადგილას). 1965 წელს მუსიკალური სკოლა გადავიდა ყოფილი კომკავშირის რაიკომის შენობაში ყოფილ ჟდანოვის ქუჩაზე ახლანდელი გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა, სადაც ფუნქციონირებს დღემდე. ადა დირექტორად მუშაობდა გარდაცვალებამდე. გარდაიცვალა 1960 წელს. დაკრძალულია ოზურგეთის ცენტრალურ სასაფლაოზე (მოი და ნახე).მისი მეუღლე მიშა თაყაიშვილი გარდაიცვალა 1963 წელს, დაკრძალულია მეუღლის გვერით.ადას შემდეგ მუსიკალური სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ თბილისიდან მოწვეული სპეციალისტები: ვოკალისტი შალვა ლორთქიფანიძე და პიანისტი სოფი პეტრიაშვილი.

1968 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა თბილისის კონსერვატორიის კურს დამთავრებული ნიჭიერი პედაგოგი ნატო ერქომაიშვილი.

ოზურგეთის სამუსიკო სკოლაში ადა შეფერ თაყაიშვილის დირექტორობის დროს ბევრმა ოზურგეთელმა მიიღო მუსიკალური განათლება: ნატო ერქომაიშვილმა,იზა სიხარულიძემ,დოდო ტრაპაიძემ,დარეჯან (დუდუხანა) გოგუაძემ,რუსუდან ბერიძემ,სოსო (იოსებ) კეჭაყმაძემ (შემდეგში კომპოზიტორი), დოდო კალანდაძემ, ნათელა თაყაიშვილმა(ადას და გიორგის შვილობილი), ნათელას ქალიშვილმა მაია რუშაძემ და ბევრმა სხვამ.

მოსწავლეთა მთელი თაობა აღზარდა მოსკოველმა პედაგოგმა ანა სოკრატეს ასულმა პიატკოვამ, რომელიც ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა მოსკოვი და თავი შეეფარებინა ანასეულში ახლობლებთან. შემდეგ წლების მანძილზე ცხოვრობდა გაბრილ ეპისკოპოსის ქუჩაზე (ყოფილი წულუკიძის) ნატა და ლეონიდე სიხარულიძეების (ქალბატონ იზა სიხარულიძის მშობლები) ოჯახში და ამეცადინებდა მათ შვილებს იზასა და ამიკოს. დოდო ტრაპაიძისა და იზა სიხარულიძის, დარეჯან (დუდუხანა) გოგუაძის გადმოცემით ოზურგეთის მუსიკალურ სკოლაში პედაგოგებად მუშაობდნენ: ნუნუ თავამაიშვილი, ეთერ ჯიბუტი, ,ლამარა მიქატაძე, ვასო ქუთათელაძე (საგუნდო სადირიჟორო).ცალკე უნდ აღინიშნოს ანა პიატკოვას მოღვაწეობა, მას ახასიათებენ ,როგორც პროფესიონალს და შესანიშნავ პედაგოგს, რომელიც კარგად ფლობდა ქართულ ენას, ახლაც დიდი სიყვარულით იგონებენ მისი მოწაფები ქალბატონები: დარეჯან (დუდუხანა) გოგუაძე,იზა სიხარულიძე, დოდო ტრაპაიძე და სხვები.

ოზურგეთის მუსიკალურ სკოლაში სწავლობდნენ დოდო, ნათელა და აკაკი ბაქრაძეები. ერთხელ ქალბატონმა ნათელა ბაქრაძემ მიამბო: მე, ჩემი და დოდო და ჩვენი უმცროსი ძმა აკაკი დავდიოდით მუსიკალურ სკოლაში, მაგრამ კაკოს არ უყვარდა სკოლაში სიარული, ამიტომ ასეთ ხერხს მიმართავდა:გაუვლიდა მამას, რომელიც მუშაობდა სტომატოლოგიურ კლინიკაში(ახლანდელი შემოქმედის ეპარქიის შენობა) გამოართმევდა ერთ მანეთს და მისცემდა დოდოს,რომ სახლში არ ეთქვა, მე ამ საიდუმლოს ვინახავდი, მაგრამ ზოგჯერ დოდო ვერ ითმენდა და გვასმენდა.მე ადას კლასში ვწავლობდი,როცა მეცადინეობის დროს შემეშლებოდა მეტყოდა „ღას შვრები გოგო, ღას შვრები“.

სულ ახლახან ადა შეფერ თაყაიშვილის შვილობილის, ნათელას ქალიშვილმა გადმომცა ერთი დოკუმენტი და ერთი უნიკალური ფოტო.დოკუმენტი წარმოადგენს ადა თაყაიშვილის სახლობის„სამადლობელ“ ბარათს სლოგანით „განათლება გვანიჭებს თავისუფლებას“. განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულია კულტურისა და ხელოვნების ამაგდარი მუშაკის ქალბატონ ადა თაყაიშვილის ყოველწიური პრემია, მისი სანაქებო მოქალაქეობის სანიმუშო პედაგოგიურ და ეროვნული მოღვაწეობის უკდავსაყოფად და სამაგალითოდ მოქმედ მასწავლებელთა წასახალისებლად და რაიონის პედაგოგთა თაობების კავშირსა და მემკვიდრეობით ურღვევობისათვის.

განათლების,მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა ოზურგეთის რაიონული საბჭო.ქ.ოზურგეთი 1994 წელი მეორე გახლავთ ფოტო ის უნიკალურია იმით, რომ მასზე აღბეჭდილი არიან თავად ადა შეფერ-თაყაიშვილი, ანა პიატკოვა შუაში ნათელა თაყაიშვილი, ანა პიატკოვას მარჯვნივ ადას მეუღლე მიშა თაყაიშვილი და მუსიკალური სკოლის მოსწავლეები, ნაწილობრივ ჩანს სკოლის შენობა ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე.

P.S.

წერილი მზად მქონდა,როცა საღამოს ბაზრიდან გამოსულს თაყაიშვილის ქუჩაზე სამი უმშვენიერესი ქალბატონი შემხვდა: პირველად დარეჯან (დუდუხანა) გოგუაძე,მუსიკალური სკოლის ყოფილი მოსწავლე და ცოტა ხნის შემდეგ მოქმედი პედაგოგები დოდო ტრაპაიძე და იზა სიხარულიძე, სკოლიდან ბრუნდებოდნენ და რაღაცაზე ბაასობდნენ. მათმა დანახვამ გამახალისა. ეს შავებით შემოსილი მანდილოსნები ულამაზესები იყვნენ,შევჩერდი ერთმანეთს გავესაუბრეთ,რადგან დარეჯანმა, იზამ და დოდომ ბევრი რამ მიამბეს, დოდომ სიცილით მითხრა:ჩვენც წაგვაკითხე. მე ვუთხარი აუცილებლად მეთქი.ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ჩემთვის გავიფიქრე„ სილამაზეს ასაკი არა აქვს“.შემდეგ ერთი სონეტი ამომიტივტივდა:„ყვავილთა შორის ღირსეულად ვარდი ბერდება,რადგან ლამაზმანს სურნელშიაც ტოლი არა ჰყავს. „

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების მთავარი მცველი.

პეტიციები ოზურგეთის უძველესი აბანოს ნაშთების გადასარჩენად!

ალიონი. გასულ კვირაში, სოციალურ ქსელში ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრის თანამშრომლის თამარ კუპრაძის მოწოდება გავრცელდა:

„მეგობრებო,
გთხოვთ, მოაწეროთ ხელი.
თუმცა, მეეჭვება ხმების საკმაო რაოდენობა შეგროვდეს, იქნებ ვინმემ მუნიციპალიტეტის დონეზე გააკეთოს ეს.

ისტორია: ქალაქ ოზურგეთის ცენტრში მდებარეობს არქეოლოგიური/არქიტექტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლი - უძველესი აბანოს ნაშთები. ნაგენობის ნაშთები ოზურგეთში პირველად 1957 წელს აღმოაჩინეს, თუმცა ძეგლის სრული შესწავლა არ მომხდარა. ძეგლი მიეკუთვნა სავარაუდოდ გვიან ანტიკურ ან ადრე ფეოდალურ ხანას. ნაშთები კვლავ გამოვლინდა 2012 წელს იუსტიციის სახლის მშენებლობის დროს. არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ათი დღის განმავლობაში ძეგლის მხოლოდ მცირე პერიმეტრზე, ამიტომ მისი სრული გაბარიტით გამოვლენა ვერ მოხერხდა. აბანოს ჩრდილოეთ ნაწილი დაზიანდა ბულდოზერის მიერ იუსტიციის სახლის მშენებლობისას, ხოლო სამხრეთ ნაწილი 1957 წლის სამუშაოებისას იყო დაზიანებული.

არსებული მდგომარეობა: ამჟამად ძეგლის მდგომარეობა კრიტიკულია. 2012 წელს ობიექტი მხოლოდ ბეტონის კედლით შემოსაზღვრეს, თითქოს დაცვის მიზნით. არ განხორციელებულა ძეგლის კონსერვაციის/დაცვის ღონისძიებები. იგი ღია ცის ქვეშ ყურადღების გარეშეა დატოვებული და ატმოსფერული ზემოქმედების შედეგად დღითიდღე ზიანდება. კულტურის სამინისტროს დაკვეთით შემუშავებულია მისი დროებითი გადახურვის პროექტი, რომელიც დღემდე არ განხორციელებულა. მოუწესრიგებელია ძეგლის სამართებრივი მდგომარეობაც, კერძოდ, მას კანონმდებლობით დადგენილი წესით არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის გის პორტალზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ობიექტი სტატუსის გარეშეა.)

მოთხოვნა: საქართველოს მიერ რატიფიცირებული არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სახელმწიფომ უზრუნველყოს:

1. აბანოს ნაშთებზე არქეოლოგიური სამუშაოების სრული ციკლის ჩატარება (არქეოლოგიური გათხრის, რესტავრაციაკონსერვაციისა და მეცნიერული შესწავლის ჩათვლით);

2. აბანოს ნაშთებისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

P.S. გაზეთი „ალიონი“ ერთ-ერთმა პირველმა აუწყა საზოგადოებას, იუსტიციის სახლის მშენებლობისას რომაული აბანოების ერთი ნაწილის განადგურების შესახებ და მონაწილეობდა ძეგლის გადასარჩენად გამართულ აქციებში. არსებობს პროექტი აღნიშნული ძეგლის გადასახურად, მაგრამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ჯერჯერობით ამ საკითხის მოსაგვარებლად ვერ მოიცალა.

რეფორმების ახალი ტალღა ენერგეტიკაში - სემეკმა მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ინოვაციური პროექტი წარადგინა



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) მომსახურების კომერციული ხარისხის მონიტორინგის სისტემის შესახებ ახალი პროგრამა - „ელექტრონული ჟურნალი“ წარადგინა. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის, სამთავრობო უწყებების, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მოქმედი გამანაწილებელი კომპანიების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. ღონისძიება გახსნა სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავამ. „ელექტრონული ჟურნალის“ შესახებ პრეზენტაცია წარადგინა კომისიის წევრმა, გიორგი ფანგანმა.

„ელექტრონული ჟურნალი“, რომელიც უნიკალური პროგრამაა და ანალოგი არ გააჩნია, სემეკის თანამშრომლების მიერ შეიქმნა. პროგრამა 2016 წლის ბოლოს ამოქმედდა და მისი საშუალებით, სემეკი რეალური დროის რეჟიმში მონიტორინგს უწევს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი გამანაწილებელი და წყალმომარაგების ლიცენზიატი კომპანიების მიერ მომსახურების კომერციული ხარისხის სტანდარტების შესრულების პროცესს.

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში არსებული მომსახურების კომერციული ხარისხის სტანდარტები მოიცავს გეგმურ და არაგეგმურ წყვეტებს; ქოლ-ცენტრის მომსახურებას; ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთებას; აბონენტად რეგისტრაციას; დავალიანების გადაუხდელობის გამო გამორთული მომხმარებლისთვის მომარაგების აღდგენას; მომხმარებლის წერილობით მოთხოვნაზე კომპანიის მიერ პასუხის გაცემას ან/და რეაგირებას; აღრიცხვის ხელსაწყოს შემოწმებას; მომარაგების ტექნიკური ხარისხის შემოწმებას. მათი დარღვევის შემთხვევაში კომპანიას წარმოეშვება აბონენტისთვის კომპენსაციის და რიცხვის ვალდებულება. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც „ელექტრონული ჟურნალის“ საშუალებით, ყველა ზემოაღნიშნული სტანდარტის შესრულებაზე, სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში კი - კომპენსაციის გაცემაზე კონტროლს, ასევე, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას მოახდენს დისტანციურად - რეალური დროის რეჟიმში.

„ელექტრონული ჟურნალის“ საშუალებით, 2017 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 მაისის პერიოდში სტანდარტების დარღვევისათვის, გამანაწილებელი კომპანიების მიერ აბონენტებზე გაცემული კომპენსაციების ოდენობამ 2 164 520 ლარი შეადგინა. მათ შორის, ელექტროენერგეტიკის სექტორში გაიცა 1 406 129 ლარი; ბუნებრივი გაზის სექტორში - 428 374 ლარი; ხოლო წყალმომარაგების სექტორში - 193 101 ლარი.

კომპენსაციების ყველაზე დიდი ოდენობა - 1 175 585 ლარი გაცემულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ; შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ გაცემული კომპენსაციების ოდენობამ შეადგინა 601 710 ლარი; სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ - 137 980 ლარი; სს „საქორგგაზის“ მიერ – 106 665 ლარი; სს „თელასის“ მიერ - 96 500 ლარი; შპს „ყაზტრანსგაზთბილისის“ მიერ – 23 210 ლარი; შპს „რუსთავისწყლის“ მიერ - 22 835 ლარი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ - 1 665 ლარი; შპს „ბათუმის წყლის“ მიერ – 300 ლარი, ხოლო სხვა მცირე კომპანიების მიერ გაცემული კომპენსაციების ოდენობამ - 700 ლარი.

დარიცხული კომპენსაციები სტანდარტების მიხედვით ასე გადანაწილდა: ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების სტანდარტის დარღვევის გამო გაცემული კომპენსაციების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 93%-ს; ხოლო დანარჩენი 7% მოიცავს აბონენტად რეგისტრაციის, მომარაგების აღდგენის, წერილობითი პასუხის გაცემა/რეაგირების; აღრიცხვის ხელსაწყოს მოწყობის; მომარაგების ტექნიკური ხარისხის შემოწმების სტანდარტების დარღვევას.

სემეკის ამოცანაა, რომ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მიერ მაქსიმალურად გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი. ამ მიზნით უახლოეს მომავალში "ელექტრონული ჟურნალს" ასევე დაემატება, სამივე რეგულირებად სექტორში, მიწოდების საიმედოობის მონიტორინგის ფუნქცია.

რ

ახალგაზრდა ფერმერი ნიკა გუნთაძე

ვეხმაურებით ჟურნალ „ახალი აგრალური საქართველოს“ მიერ შემოთავაზებულ რუბრიკას „ფერმერის დღიურები“, რომლის მიზანია საზოგადოებას მოვუთხროთ სოფლად მცხოვრებ ადამიანებზე და განსაკუთრებით ახალგაზრდებზე, რომელთაც უყვართ სოფელი, გული შესტკივათ, ფიქრობენ და ძალ-ღონეს არ იშურებენ ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის.

ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა გვინდა წარმოგიდგინოთ ნიკა გუნთაძის სახით, რომელსაც, მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, რწმენა და მონდომება არ დაუკარგავს სოფლის აღორძინებისათვის.

მოვუსმინოთ მას: „მე, ნიკა გუნთაძე, დაბადებული ვარ 1986 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში, 2004 წელს დავამთავრე ოზურგეთის 5 საშუალო სკოლა . გავიარე რა, სამხედრო სამსახური, 2005-2009 წლებში დავამთავრე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, სპეციალობით ბიზნესის მენეჯმენტი და ადმინისტრირება. მამაჩემი მეცნიერ-თანამშრომელი იყო, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ინსტიტუტის დაშლის შემდეგ მამაჩემმა გადაწყვიტა თავისი ცოდნა და გამოცდილება საოჯახო ფერმერული მეურნეობის მოწყობისათვის გამოეყენებინა. პირადად მე ბავშვობიდან მიტაცებდა ფერმერული საქმიანობა. სწავლასთან ერთად გვერდში ვედექი ოჯახს, რათა ბიზნეს საქმიანობაში ჩემი პირადი წვლილი შემეტანა. წლების განმავლობაში ვაწარმოებდით სუბტროპიკული კულტურების პერსპექტიული ჯიშების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კულტურათა ნერგებს. ვიყენებდით სარგავი მასალის წარმოების პროგრესულ ტექნოლოგიებს და ვახდენდით მათ რეალიზებას. მამის გარდაცვალების შემდეგ, 17 წლის ასაკიდან მეურნეობის წარმართვა საკუთარ თავზე ავიღე. თავიდან ძალზე გამიჭირდა, თუმცა, ოჯახის წევრებთან ერთად, ბიზნესი მაინც შევინარჩუნე.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე ჩემი სპეციალობა მაქსიმალურად საოჯახო ბიზნესის წარმოების გასაუმჯობესებლად გამომეყენებინა. გარდა ამისა, პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად სოფელში საკარმიდამო ნაკვეთზე მოვაწყვე პერსპექტიული სელექციური ჯიშების კივის, თხილის, ხურმის და ფეიჰოას ნაკვეთები, სადაც ვიყენებდი ამ კულტურათა მოვლა-მოყვანის თანამედროვე პროგრესულ ტექნოლოგიებს. შედეგებიც შესანიშნავი მქონდა. უხვი და ხარისხიანი მოსავალი ჩემი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო გახდა.

2015 წელ ჩავერთე სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეების ხელშეწყობის კომპონენტში. პროგრამის ყველა ეტაპი წარმატებით გადავლახე და მივიღე დაფინანსება გრანტის სახით, რომლის საშუალებითაც საკოლექციო ბაღში მოვაწყვე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საირიგაციო და საყრდენი სისტემები. საკუთარი თანამონაწილეობის თანხით მოვახდინე მეურნეობის ტექნიკითა და სამუშაო იარაღებით გადაიარაღება, ასევე სანერგისათვის მოვაწყვე მცირე სასათბურე მეურნეობა.

2016 წელს წარმატებით გავიარე აგრალური უნივერსიტეტის, აგრალური პროფილის სპეციალისტების პროფესიული გადამზადების სრული პროგრამა. 2017 წელს სასათბურე მეურნეობის გაფართოების მიზნით მონაწილეობა მივიღე ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საგრანტო კონკურსში. კონკურსის ყველა ეტაპი წარმატებით გავიარე და მივიღე დაფინანსება. იმავე წელს დავიწყე მონაწილეობა ისტორიულად მნიშვნელოვანი ანასეულის დენდროლოგიური პარკის აღდგენით სამუშაოებში.

2018 წლის მარტიდან ხელშეკრულებით მუშაობას განვაგრძობ ანასეულში დაფუძნებულ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურში, სანერგე და სასათბურე მეურნეობის სპეციალისტად. მუშაობის სამი თვის განმავლობაში აქტურად ჩავები სუბტროპიკულ კულტურათა გენოფონდის მოძიებასა და საკოლექციო ბაღის დაგეგმარება-გაშენებაში. პარალელურად გავდივარ პროფესიული გადამზადების კურსებს აგრარურ უნივერსიტეტში, სერტიფიცირებული აგრობიზნესის სპეციალობით. სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან თანამშრომლობა და პრაქტიკული საქმიანობა დიდ გამოცდილებას შემმატებს. გამოცდილი მეცნიერ მკვლევარები , სრულყოფილი მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა და ქვეყანაში აღიარებული ნიადაგისა და სურსათის აკრედიტირებული ლაბორატორიის ერთობლივი საქმიანობით ანასეული ისევ აღიდგენს დაკარგულ ღირსებას, ის გახდება საუკეთესო სამეცნიერო-საწარმოო კერა, სადაც ფერმერები რეგულარულად მიიღებენ კვალიფიციურ მომსახურებას საოჯახო ფერმერული ბიზნესის განვითარებაზე, ასევე მომარაგდებიან სუბტროპიკულ კულტურათა ელიტური სარგავი მასალის სტანდარტული ნერგებით. მე, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, მთელ ჩემს ენერგიას და გამოცდილებას არ დავიშურებ სოფლად მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმების, დამაგრების და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად. მოვუწოდებ ყველა ახალგაზრდას, ნუ დავკარგავთ წინაპართა ნაკვალევს, მხოლოდ მონდომება, ნებისყოფა და სიყვარული გადაარჩენს ჩვენს სოფლებს სრული განადგურებისაგან“.

ასე დაასრულა ჩვენთან საუბარი ახალგაზრდა ენთუზიასტმა ნიკა გუნთაძემ.

.შ. როდესაც ნიკას ინტერვიუს ვუსმენდი, გული სიხარულით მევსებოდა და ვფიქრობდი ,საქართველოს მომავალი სწორედ ასეთ გულანთებულ პატრიოტ ახალგაზრდებზეა დამოკიდებული. ქვეყანას გადაშენება არ უწერია, თუ დიდი და პატარა ერთად შეეჭიდებით არსებულ პრობლემებს. ხელისუფლების სტრადეგიული ხედვა და მონდომება კი, უპირველეს ყოვლისა, ასეთი ახალგაზრდების მიმართ მხარდაჭერა-დახმარებაში და სოფლად მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარებაში უნდა გამოიხატებოდეს.

ზაურ გაბრიჩიძე

ოზურგეთი. ანასეული.

აფრიკელი გურულები

ბედს სად არ გადაუტყორცნია ქართველი კაცი, მაგრამ ყველგან თავდადებით შრომობდა, აშენებდა და აკაშკაშებდა თავის კულტურის კერებს- ათონზე იყო ეს, სინას მთაზე , იერუსალიმში, ბულგარეთში, ირანში, ინდოეთში თუ სპერძნეთის სხვადასხვა კუნძულზე. ამ კერების მოწყობას ქართველმა დიდი ეროვნული ენერგია შეალია, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მისი ფეხი ამოიკვეთა ამ კერებიდან და დღემდე სპობენ ჩვენი იქ ყოფნის ნიშანწყალს.

1955 წელს ვარშავაში მიცკევიჩის საიუბილეო დღეებში შედგა მსოფლიო პოეტების საღამო. გ. ლეონიძე იხსენებდა: ,, მე წავიკითხე ლექსი ქართულად, ჩემთან მოვარდა ახოვანი ვაჟკაცი — ეგვიპტელი პოეტი, სათნო ღიმილით ხელი ჩამომართვა და გამეცნო. მეც ქართველი ვარ, ჩემი წინაპრები ქართველები არიანო. ნამდვილი ქართველი ტიპი იყო, თითქოს სადღაც მენახა კიდეც საქართველოში. გვარად იყო ,, აბაზი'' (ალბათ აბაშიძე რადგან იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი აბაშიძეს ,,აბაზად'' გამოთქვამდა) შემდეგ აბაზმაც წაიკითხა ლექსი... დიდხანს ვილაპარაკეთ საქართველოზე. ქართველი ეგვიპტელი პოეტი ჩვენში მოვიპატიჟე , რამაც დიდი სიხარული მოჰგვარა...

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში გიორგი ავალიშვილმა 1819-1820 წლებში მოიარა მცირე აზია, იყო იერუსალიმში, ეგვიპტეში, ოსმალეთსა და პალესტინაში და თვით ქრისტეს მშობლიურ ნაზარეთში იპოვა ქართველები. იგი თითქმის ყველგან ხვდებოდა გადახვეწილ გაყიდულ ქართველებს , რომელნიც კიდევ მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულად, შემდეგ კი სხვა ეროვნებებში აითქვიფენ.

1939 წელს მაშინდელმა გაზეთმა ,,ახალგაზრდა კომუნისტმა'' გამოაქვეყნა ჟურნალისტ ნ. კუტუბაძის ცნობა , რომელმაც თავის დროზე დიდი ინტერესი გამოიწვია. ცნობის ავტორს ფოთში შეხვედრია ქართველი მეზღვაური სიორიძე, რომელსაც ასეთი სენსაციური განცხადება გაუკეთებია : ამ რამოდენიმე თვის წინ საბჭოთა სატვირთო გემი მიადგა ჩრდილოეთ აფრიკის ნავსადგურს (წერილში აღნიშნული არ არის ნავსადგურის სახელი) , გემზე ორი ქართველი მეზღვაური ვიყავით ... გემის კაპიტანს ვთხოვეთ, რამოდენიმე საათით ქალაქში გასეირნების უფლება მოეცა. ნავსადგურში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მტვირთავი მუშების არაადამიანურმა შრომამ . ფრანგი ზედამხედველი, რომელსაც რეზინის მათრახი ეჭირა, ხან ერთს გადაუჭერდა , ხან მეორეს. ვებერთელა ყუთების სიმძიმით წელში გაწყვეტილი ფერადკანიანები, რომელთაც წამდაუწუმ ხვდებოდა კოლონიზატორის მათრახი, თავიანთ აღშფოთებას მხოლოდ კბილთა ღრჭენით თუ გამოხატავდნენ ჩემმა თანამემგზავრემ ვერარ გაუძლო ამ საშინელ სურათს და ქართულად დაიძახა: დიპლომატიური სკანდალის რომ არ მეშინოდეს, ამ არამზადას ფრანგს ცხვირპირს ამოვამტვრევდიო. უცებ მოხდა წარმოუდგენელი რამ, ერთ-ერთმა ფერადკანიანმა, რომელიც ჩვენთან ყველაზე ახლოს იყო, მძიმე ყუთი ძირს დააგდო, ჯიქურ მოგვეჭრა და აქლოშინებულმა ქართულად მოგვაყარა: ,,ბიჭებო ქართველები ხართო?'' ჩვენთვის უფრო ადვილი დასაჯერებელი იქნებოდა, ეს ზფერადკანიანი რაღაც სასწაულით უცებ რომ გათეთრებულიყო, ვიდრე მისი ქართული ლაპარაკი! რამდენიმე წუთს გაშტერებული შევსცქეროდით მას, რომელსაც სახე ულიმოდა და თეთრი კბილები მოუჩანდა.

- ჩვენ კი ვართ ქართველები, მაგრამ შენ ფერადკანიანმა საიდან იცი ქართული?- თითქმის ერთხმად მივაძახეთ ორივემ

- მეც ქართველი ვარ, თქვენისთანა, ხომ ხედავთ, ჩვენს ენაზე ლაპარაკი არ დამვიწყებია, აქ ბევრი ქართველი ცხოვრობს, რამდენიმე სოფელი გვაქვს, ძველი დროიდან აქ ვსახლობთ. მართლა ფერადკანიანი არ გეგონოთ, კანი აფრიკის მცხუნვარე მზემ გაგვიშავა. ენა და ქართველობა თუ აქამდე შეინარჩუნეთ ეს იმის წყალობით, რომ სხვა ერის კაცებს ჩვენს ქალს ცოლად არ ვატანთ, არც თვითონ ვირთავთ უცხო ტომის შვილებს, - დასრულა თუ არა საუბარი ფერადანიანმა, ფრანგი ზედამხედველი მივარდა მას და მათრახი გადაუჭირა, ფერადკანიანი მისკენ გაიწია და დიდი ხვეწნით ძლივს შეკაჩერეთ!

კორესპოდენტი ე. მამულაშვილი აღნიშნული პუბლიკაციის შემდეგ ფოთში ესტუმრა მეზღვაურ სიორიძეს. მან გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა მთლიანად დაადასტურა. უფრო მეტიც, ზემოთ ნახსენს აბაავს ასეთი რამ დაამატა: ,, ფერადკანიანმა მტვირთავმა რომ ნახა, მისმა ქართველმა ჩვენში ეჭვი გამოიწვია , გვითხრა: არა გგჯერათ, რომ ქართველი ვარ? აი აქ ყუთებს რომ ეზიდებიან, ჩემს გარდა კიდევ ათი ქართველი მუშაობს, ყველა ერთი სოფლიდან ვართ; ქალაქ უჯდასთან ქართველების რამოდენიმე სოფელია, მოსახლეობის მეტი წილი გუგუნარის გვარს ატარებს, აი ის მაღალი კაცი კი ჭანუყვათია. **გუგუნარი** და **ჭანუყვათი** ჩვენს სოფელში მთავარი გვარეობია. მეტისმეტად ღატაკურად ვცხოვრობთ. ჩვენი ბავშვები ჩამოგლეჯილი და ფეხშიშველი დარბის, ადგილიც ძალზე უნაყოფოა. იძულებული ვართ შორეული საზღვაო ნავსადგურებში და სხვაგან მძიმე სამუშაოზე წავიდეთ, მონური შრომით ვიჩრინოთ თავი..

- ჭანუყვარი , გუგუნარი, ეს ხომ ჩვენი ჭანუყვაძეები და გუგუნავების შორეული წინაპრები არიან! - შევძახე გაოგნებულმა...''

ფრანგმა ზედამხედველმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, მალე შეწყვიტა ჩვენი საუბარიო, - დასრულა თურმე თხრობა ქართველმა მეზღვაურმა.

ავთანდილ გოცირიძე ქართველი მზვერავი იყო, რომელმაც 36 წლის განმავლობაში უამრავი საინტერესო ინფომაცია მოიპოვა. ერთხელ ერთმა მეგობარმა მას თურმე ასეთი რამ უამბო: უცხოეთში მოგზაურობისას აფრიკის ერთ-ერთ პორტში, გემის მეპატრონემ დოკერს, ანუ პორტის მუშაკს მათრახი გადაუჭირა . იმან კი დედა ქართულად შემაგინაო. ამის შემდეგ გაოცებულმა თვითმხილველმა და იმ ქართველმა ფერადკანიანმა თურმე ჩვეულებრივად იპურმარილეს კიდეც.

გიორგი კალანდიას მიერ მოპოვებული ცნობით, ქართული სოფლები მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში სომალის ნახევარკუნძულზეც არის აღმოჩენილი. ამ ფაქტს 1880 წელს გაზეთ ,,ივერიაში'' ერთ-ერთი ქართველი მოგზაურიც ადასტურებდა... ალჟირსა და მაროკოში მცხოვრებ ქართველთა ბედს გ. კალანდია ლოგიკურად ხსნის: 16-17-ე საუკუნეებში ალჟირი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ოსმალები შორეული რეგიონის დაპყრობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას მამლუქებს ანიჭებდნენ. მამლუქები კავკასიური წარმოშობის ხალხი იყო, მათგან ძირითადად ქართველები გამოირჩეოდნენ ...

ეგვიპტესა და ფრიკაში მოგზაურობისა ჩემი თვალით ვნახე მამლუქების მიერ ქათულ ენაზე დაწერილი წერილები. ქართველთა მიერ აგებული მეჩეთები. ქართველთა გმირობასთან დაკავშირებული ადგილები, მაგრამ ძნელად საპოვნელი აღმოჩნდა ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანები.

ამბობენ აფრიკის კონტინტზე ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მთავარ ფასადზე გრანიტის ქვაზე ამოჭრილი მსოფლიოს სხვადასხვა დამწერლობის ნიმუშებს მათ შორის ყველაზე დიდი ზომისაა სამი ქართული ასო -ჭ. ხ. ლ.

ლევან ძნელაძე

სკანვორდი



№ 24-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - მარჩელო მასტროიანი; თუთიყუში - რა; მალამო - სალბუნი; ძვირფასი თვალი - ამეთვისტო; კვერცხის ფრანგული კერძი - ბენედიქტი; ხელით მსხვილი ნაკერი - ლამბი; ალკოჰოლიანი სასმელი - ნუნუა; უბანი ოზურგეთში - ბარსა; ტროპიკული ხილი - ანანასი; იტალიელი მსახიობი და მომღერალი - ჩელენტანო; ბესიკის ლექსი... - ტატანო; სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში - აბასთუმანი; გამოჩენილი ამერიკის მკვლევარი - კომულუმბი; სარკინოზი - არაბი; საღებავი მხატვრისთვის -გუაში; სამთო კურორტი საქართველოში - ბაკურიანი; დღევანდელი სირია - ასურეთი; ხევი - ოლე; მცირე ზომის სასმისი - სირჩა; ცხოველის კიდური - თათი; ჩეხური ავტომობილი - ტატრა; გივი მოფერებით - გივიკო; აღმოსავლური ორთაბრძოლა - უშუ; სოფელი ქედის მუნიციპალიტეტში - გუნდაური; ნამცხვარი - შუ; კომში - ბია; დიახ - კი; კბილი მეგრულად - კიბირი; მცენარე - დეკა; ვიეტნამის დედაქალაქი - ჰანოი; მუნიციპალიტეტი ქართლში - მარნეული; იმერული შეძახილი - იმე; ძველებური თეთრეულის სარეცხი - ლილა; სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტში - თაბორი

ქალაქი ოზურგეთი
სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-24



გვიანფეოდალურ ოზურგეთში ზემოხსენებულ უმთავრეს მოხელეთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ციხისთავს „ციხისთავის თანამდებობა ქალაქებში და საერთოდ ქართულ სამოხელეო წყობაში ერთ-ერთ უძველეს წარმოადგენდა. ციხისთავის თანამდებობა საქართველოს ქალაქებში VI საუკუნიდან არის დადასტურებული. ქალაქის ამ მოხელეს თანამდებობა, იმავე შინაარსით, შენარჩუნებულ იქნა გვიანფეოდალურ ხანაშიაც.

რამდენადაც გვიანფეოდალური ხანის თითქმის ყოველ ქალაქს თავისი ციხე ჰქონია, ციხის გამგებელი ხელისუფალიც, ციხი-სთავიც უნდა ჰყოლოდა. ოზურგეთის ციხისთავი იმის მიერ ინიშნებოდა ვისაც ქალაქი და ქვეყანა ეკუთვნოდა, თუ ემორჩილებოდა. ქალაქისა თუ სოფლის, სასაზღვრო თუ სტრატეგიული დანიშნულების ადგილზე აღმართული ციხე და მისი ციხისთავი ქალაქისა და ქვეყნის მფლობელის ინტერესების გამომხატველი იყო ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაზე მისი ბატონობის გამტარებელი.

ამ მხრივ ოზურგეთის ქვეყანაში განმსაზღვრელი და განსაკუთრებული უფლება-მოვალეობებს განასახიერებდნენ ნაგომრის, ბაილეთის, ლანჩხუთის გურიანთის, ასკანის და ლიხაურის ციხისთავები. მათი მფლობელნი ხან მთავრის ინტერესებს იცავდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ბატონობაში, ხანაც პირიქით მთავარს ექიშპებოდნენ და მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. გურიანთის ციხის პატრონი ნაკაშიძეები კრიჭაში ედგნენ გურიელებს, რის გამოც მამია მეხუთე გურიელმა ეს ციხე რუსის მხედრობას დაანგრევინა 1817 წელს. გურიანთის ციხის დანგრევით დათრგუნა მან იმხანად აღზევებული ნაკაშიძენი.

ანალოგიურ გზას ადგა ასკანის ციხისთავი ასათიანთა გვარიდან.

ურჩობის გზაზე დამდგარა ოზურგეთის ქვეყნის ციხისთავთა წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა მამია მეხუთე გურიელი ბიძა — ქაიხოსრო გურიელი.

„ქაიხოსრომ ბოლო მოუღო დიდგვაროვანთა და მოხელეთა თვითნებობას ტახტის მემკვიდრის არასრულწლოვანებით გათამამებულ ფეოდალებს. სვიმონ გურიელის ძე მამია მეხუთე იმხანად სამი წლისა იყო. ქვეყნის მართვა-გამგეობა ადრე ბერად შემდგარ ქაიხოსრომ იკისრა. იგი მხარეში ამოუდგა მამიას დედა მარინე წერეთელს გურიელისას და სამთავროს ტახტს რეგენტის უფლებით განაგებდა.

ქაიხოსრო გელათში იმყოფებოდა საეპისკოსოდ გამზადებული შემოქმედის ეპარქიის განსაგებლად, როდესაც გურიის მთავრის მისი ძმის სვიმონ გურიელის გარდაცვალება შეიტყო 1792 წელს. ქაიხოსრომ იმავდროულად ხელი აიღო ბერობაზე, გურიაში დაბრუნდა და უწლოვანი ტახტის მემკვიდრის აღზრდას შუდგა.

იგი ადრე სოფელ უჩხუბში ცხოვრობდა. აქ იყო მისი მდიდრულად მოწყობილი სასახლე, კარის ეკლესია, მარანი და სხვა ნაგებობანი. ახლა მან შემოქმედის ციხე გაამაგრა, და საცხოვრებლად მის ერთ-ერთ კოშკში გადავიდა.

1997 წელს მცირეწლოვან მამიას, რომელიც იმხანად სულ რვა წლის იყო, ტახტი მეორე ბიძამ ვახტანგ გურიელმა წაგვარა. ქაიხოსროს ცოლისძმის დიმიტრი ორბელიანის იმედი ჰქონდა, რომელიც ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან დედოფლის შუამდგომლობით ცდილობდა ქაიხოსროს სიუზერენთან იმერეთის მეფესთან სოლომონ მეორესთან კავშირი გაება და ქაიხოსროს რეგენტობა სიძის ვახტანგ გურიელის რეგენტობით შეეცვალა.

არ გაუმართლა ავბედითი განაზრახი გაორგულებულ ბიძას. 1797 წელს ვახტანგი მიტაცებული ტახტიდან გადააყენა ქაიხოსრომ და მისსავე ძმა ლევანთან ერთად, რომელიც ტოლს არ უდებდა ვახტანგს ოსმალეთის გზას გაუყენა.

ქაიხოსროს ინიციატივით XVIII, XIX საუკუნეთა მი?ნაზე მოწვეული იქნა გურიის სასულიეროს და საერო ხელისუფალთა კრება, იმერეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კრებაზე მნიშვნელოვანი მთავრის სახელით მიღებული იქმნა დიდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი ტყვეთა სყიდვის აკრძალვის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია:

„გურიაში დიდად ტყვის გასყიდვა იყო და მერმეთ ჩვენ ვინებეთ და იმერნი და გურიელნი სამღვდელონი და საერონი ერთად შევკრბით და კრება ვქენით და ტყვის სყიდვა გადავაგდეთ.

ერების დადგენილება ქაიხოსრომ გურიაში დიდი სისასტიკით გაატარა. ტყვის მსყიდველებს ქაიხოსროა და ჯუმათელის სათანადო განცხადების შემდეგ საჯაროდ სწვავდნენ. არ ინდობდნენ არც უგვაროსა და არც დიდგვაროვანს.

ენერგიულმა რეგენტმა ბოლო მოუღო დიდგვაროვანთა და აღზევებულ მოხელეთა თვითნებობას. მამია მეხუთის მცირეწლოვნებით გათამამებულ ორგულთ თავი დამოუკიდებლად მიაჩნდათ. მათ მიითვისეს თვით მთავრის მამულების დიდი ნაწილიც კი. ამასაც არ დასჯერდნენ. ხელში ჩაიგდეს ლანჩხუთის, ბაილეთის, ასკანის ციხე-სიმაგრეები. აღებულ ხანაში განსაკუთრებით განდიდდა ასკანის ციხისთავი, დავით ასათიანი. ლანჩხუთის ციხის მოურავი, აზნაური ზუბაიდელ ჟორდანია, როგორც ჟორდანია, ასევე ასათიანი არად აგდებდნენ მთავრის ხელისუფლებას, ბოროტად იყენებდნენ მათზე ბოძებულ ციხისთავის უფლებებსა და ფუნქციებს. ასკანისა და ლანჩხუთის ციხე-სიმაგრეები ტყვეთა სყიდვის ბუნაგებად იქცნენ. ანალოგიურ ყოფაში აღმოჩნდნენ ლიხაურისა და ბაილეთის ციხისთავები.

მკლავი გამართა ქაიხოსრომ ურჩობის გზაზედ დამდგარ ციხისთავთა მიმართ „კუდი ძაღლისა მხოლოდ ძალისხმევით უნდა განეწვართა“.

ბაილეთისა და ლიხაურის ციხეები ქაიხოსრომ ერთი დაკვრით აოღო და დადრიკა ურჩი ციხისთავები. ენერგიულ გურიელს საქმე ლანჩხუთის ციხის და „გურიის ალამეთის“ — ასკანის ციხისთავთა წინააღმდეგ ბრძოლაში „მისჭირდა“. ზუბაიდელ ჟორდანია და დავით ასათიანი ფარხმალს არ ჰყრიდნენ.

„მათ ციხეები გაამაგრეს, შიგ თავინთ ერთგული მეციხოვნეები ჩააყენს, სურსათი მოიმარაგეს და მთავრის მორჩილებაზე უარი განაცხადეს“. ასკანის ციხე მიუდგომელი და შეუვალი იყო. ორიათასწლოვან სიმაგრეს მოხდურისაგან ძლევა იშვიათად ახსოვს. ციხეს, მისასვლელთან მდებარე სამკუთხა ფორმის დაღმართის ბოლოს საიდუმლო სავალი ჰქონდა, რომლის ნაშთი ახლაც არის შერჩენილი. საიდუმლო სავალი ბახვის წყლის ხეობაში გადიოდა. ამ ფარული და იდუმალი სამიმოსვლო გზით ციხიონს სურსათი, ტყვია-წამალი და საომარი საჭურველი შემოჰქონდათ ციხეში. ბერის სამოს გაძარცვული გურიელი მრავალგზის შეეცადა ასკანის ციხის უსისხლოდ აღებას, რადგან შორს გამხედვარე რეგენტი იმთავითვე ერიდებოდა ძმათა მკვლელ ომს ისედაც სისხლდაშრეტილ მხარეში. მრავალგზის იქნა მიგზავნილი დავით ასათიანთან სანდო კაცები. მას მიწებიც შეჰპირდნენ, ფულიც, თანამდებობაც, კეთილის ყოფაც, მაგრამ მისი მოდრეკა მაინც არ იქნა.

ექვსი კვირის განმავლობაში ეწყო გარს ქაიხოსროს მხედრობა ასკანის ციხეს, მაგრამ კენჭიც ვერ მოარღვიეს მის გოდოლ-ბურჯებს, ვერც ციხიონის ურჩობა მოტეხეს. ბოლოს დავით ასათიანის ახლო ნათესავი, აზნაური ბეჟან ბერიძე ჩადგა ქაიხოსროსა და ასათაინის შუა. ბერიძემ გურიელის მხარე დაიჭირა და ასათაინის ღალატი ჩაიდო გულში.

მან მოხერხებულად გამოიხმო დავით ასათიანი — ახალი დროის გურიის მხარის ლიპარიტ ბაღვაში ასკანის ციხიდან, რომელიც იქვე აჩეხეს ქაიხოსროს მოლაშქრეებმა. შედრკენ ასათიანის გარეშე დარჩენილი ასკანის ციხის მცველები. იარაღი დაჰყარეს, ქედი დაიდრიკეს და ქაიხოსრო გურიელს მორჩილება აღუთქვეს. ამოერიდან ასათიანთა გვარი დაემცრით გურიაში. მათ ასკანის ციხისთაობა ჩამოერთვათ.

ენვერ გოგუაძე

ხელოვნება მშვიდობისა და შერიგებისათვის

2017 წლის სექტემბერში გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა საინტერესო ინიციატივის განხორციელება დაიწყო. პროექტი- „ხელოვნება მშვიდობისა და შერიგებისათვის გურიის რეგიონში“, რომლის ფინანსური მხარდაჭერა რობერტ ბოშის ფონდმა და შავი ზღვის ნდობის ფონდმა უზრუნველყო, გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტსა და აჭარის, კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტს მოიცავდა და ხორციელდებოდა 35 ახალგაზრდა მოხალისის აქტიური მონაწილეობით.

პროექტის მიზანი იყო გურიის რეგიონში მშვიდობის მშენებლობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფებს შორის.

პროექტი მოიცავდა საზოგადოებრივი აზრის კვლევას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების საკითხებზე, რომლის შედეგები საფუძვლად დაედო ფორუმ თეატრის სპექტაკლს და ის შემოთავაზებული ინიციატივის ფარგლებში ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა და საშუალება იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დამოკიდებულების შეცვლისათვის. სპექტაკლმა გურიისა და აჭარის რეგიონების 17 თემი მოიარა და 900-მდე ადამიანს მიეცა სპექტაკლზე დასწრების საშუალება.

პროექტის მიწურულს, 2018 წლის 19 ივნისს შემაჯამებელი სპექტაკლი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლისათვის ჩატარდა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, მას 70-მდე ადამიანი დაესწრო და საინტერესო დისკუსიით დასრულდა.

დ

განცხადებები

იყიდება 9 400 კვ. მ მიწის ნაკვეთი ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.

***

იყიდება 30 კუბური მეტრი დახერხილი კედრის მასალა.

ტელ. 599 58 75 32;
599 61 11 60.

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება ყველაზე იაფად და ხარისხიანად

ტელ: 598 00 53 53

საბავშვო ბაღიდან სკოლაში „ბრავოთი“ გაცილებული „ათინათი“

ალიონი. 21 ივნისს ხალისიანი ზეიმი იყო მაკვანეთში სოფლის საბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფმა „ათინათმა“ გამოშვება იდღესასწაულა. ანასტასია აბაშმაძემ, სოფო ბაბილოძემ, ნათია ქამაშიძემ, დიმა ჭანუყვაძემ, დავით ქორიძემ, ბარბარე გოიმ, ვახტანგ თედელურმა, ელენე ბერსენაძემ, ირაკლი ტოკლიკიშვილმა, ნანა ნაცვალაძემ, მათე ცეცხლაძემ, მეგი ჭანუყვაძემ, ელენე თოიძემ, თამარ თოიძემ, ნიკოლოზ ცელაძემ, ლუკა ცელაძემ, ბარბარე რამიშვილმა, გიორგი კონტრიძემ, ცოტნე ნაცვალაძემ, ალექსი თოიძემ, ნინო დონღვანმა, გიორგი თოდაძემ, ბექა ბექაურმა თანასოფლელებს, სოფლის თავკაცებს და მოწვეულ სტუმრებს – მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის დარგის, ასევე მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს, კონცერტის სახით, დიდებული სანახაობა გაუმართეს. იმპროვიზირებული ნომრები, ცეკვები, ლექსი, იუმორი, სხარტულები... და მაინც. მაკვანეთელები, უპირველესად, სიმღერისათვის არიან გაჩენილები. მოკლედ, „ათინათმა“ იმდენი და იმდენ ხანს იათინათა, სანამ სტუმარ-მასპინძელს „ბრავო“ არ ამოათქმევინა ერთობლივად.

ნამდვილად აქვთ საამაყო საბავშვო ბაღის მენეჯერ ნინო კალანდარიშვილს, მუსიკის მასწავლებელ ლია კალანდარიშვილს, აღმზრდელებს – ნანული ანთიძესა და ხათუნა წივწივაძეს, აღმზრდელის თანაშემწე სვეტლანა ხელაძეს, რომელთა ღვაწლის შედეგია მომავლის მაკვანეთელთა ამ დონეზე აღზრდა და მომზადება.

და ბოლოს: ალბათ, იშვიათია ასეთი პატრიოტული სოფელი, ოცდასამივე „ათინათელი“ ახალ სასწავლო წელს მშობლიურ სკოლას მიაშურებს წარმატებული ცხოვრებისთვის განათლების მისაღებად.

ნიკოლოზ შიუკაშვილი – ევროპის ჩემპიონატის პრიზორი

უნგრეთის ქალაქ დიორში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის.

საქართველოს ნაკრებში ოზურგეთელი, 14 წლის **ნიკოლოზ შიუკაშვილი** გამოდიოდა.

ნიკოლოზი კარგად გამოვიდა ჩემპიონატზე და 62 კგ. წონით კატეგორიაში მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა. ნიკოლოზ შიუკაშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების აღზრდილია და მას **კახა აბაშიძე** 6 წლის ასაკიდან წვრთნის.

ნეიმარმა რუსეთში ორი პირადი სტილისტი ჩაიყვანა რაში ხარჯავს დროს ბრაზილიელი?

ბრაზილია-შვეიცარიის მატჩის შემდეგ, ჟურნალისტები და გულშემატკივრები ნეიმარს აკრიტიკებდნენ როგორც ცუდი თამაშის, ისე ახალი ვარცხნილობის გამო.

ნეიმარის ახალ ვარცხნილობას ბე-ვრი ცნობილი პერსონა გამოეხმაურა, მათ შორის ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი ერიკ კანტონა, რომელმაც თავზე სპაკეტი დაიყარა

როგორც ჩანს, ასეთმა აჟიოტაჟმა ნეიმარი შეაშფოთა და კოსტა რიკასთან მატჩის წინა ვარჯიშზე ფეხბურთელი ახალი ვარცხნილობით გამოცხადდა. ბრაზილიის ნაკრების ლიდერმა თმა შეიმოკლა და მუნდიალის მეორე პაექრობას სპაკეტი-სტილის ახალი ვერსიით შეხვდა. და შედეგმაც არ დააყოვნა ნეიმარმა პირველი გოლი გაიტანა, მართალია კომპენსირებული დროის უკანასკნელ წუთზე, მაგრამ მაინც.

როგორც ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ნეიმარს რუსეთში ორი სტილისტი ჰყავს ჩაყვანილი: ნარიკო, რომელიც ვარცხნილობაზე ზრუნავს და ვაგნერ ტენერიო, რომელიც თმის შეფერილობაზე ზრუნავს.

ნარიკო ბრაზილიაში ცნობილი სტილისტია. პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც სელესაოს ერთ-ერთ გულშემატკივარს ორიგინალური ვარცხნილობა გაუკეთა და თავზე ნეიმარის პორტრეტი დაახატა.

ნარიკო ნეიმარის სტილისტი მას შემდეგ გახდა, რაც ბრაზილიელი ფეხბურთელი ბარსელონაში გადავიდა. ნეიმარმა სტი-ლისტი პარიზშიც წაიყვანა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მის გარ-ეშე არც რუსეთში ჩავიდა.

ნარიკოს თავისი სალონი აქვს როგორც ბრაზილიაში, ისე პარიზში. ნეიმართან მუშაობამ მას სახელი კიდევ უფრო გაუთქვა და უკვე არაერთ ფეხბურთელს ემსახურება, მათ შორის კი ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებს: კოუტინიოს და გაბრიელ ჟესუსს.

ვაგნერ ტენერიო კატალონიელი სტილისტია და შეფერილობის გარდა, თმის ხარისხზეც ზრუნავს. ვაგნერი არაერთი ფეხბურთელის პირადი სტილისტია, ნეიმარს კი მისი მომსახურება რაფინიამ და დანი ალვეშმა ურჩიეს.

ნეიმარს ვაგნერ ტენერიოს მომსახურება **ყოველ თვე 2 000 ევრო უჯდება**. უცნობია რამდენს უხდის ბრაზილიელი ვარსკვლავი რანიკოს, თუმცა მთავარი აქ არა ფული, არამედ დროა - ნეიმარი ძალიან დიდ დროს ატარებს სალონებში; მაშინაც კი, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს და ბრაზილიის ნაკრების გულშემატკივრები მისგან არა ახალ ვარცხნილობებს, არამედ გოლებს ელოდებიან.

popsport.com

ფოთში გაჩემპიონებული ხუთი ოზურგეთელი

9-10 ივნისს ქალაქ ფოთში ჩატარდა ფოთის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2006-2008 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაეთიანების ნაკრებმა გუნდმა სპორტკლუბი „ზვანი“.

ჩემპიონები გახდნენ: თომა ზაქარაიძე, 20 კგ წონითი კატეგორია; **გიორგი გორდელაძე,** 23 კგ წონითი კატეგორია; **ლუკა ფიფია,** 32 კგ წონითი კატეგორია; **მამუკა დოლიძე,** 41 კგ წონითი კატეგორია; **ვალერიან სანიკიძე,** 63 კგ წონითი კატეგორია.

მწვრთნელები: კახაბერ აბაშიძე და **თენგიზ მუჯირი.**

რომა აბესაძე მესამეა

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა საერთაშორის ტურნირი კვრივში 2002-2003 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელშიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებათა გაერთიანების კრივის სექციის წევრი **რომა აბესაძეც** გამოდიოდა.

52 კგ. წონით კატეგორიაში იგი კარგად გამოვიდა მე-3 ადგილი დაიკავა, (მწვრთნელი იური საჯაია).

თავისუფალი ჭიდაობა

ქ. ქობულეთში ჩატარდა კობა კაკალაძის სახელობის რიგით მეხუთე საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის. აღმნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებათა გაერთიანების ნაკრები გუნდის წევრმა **კახა ძირკვაძემ** 48 კგ. წონით კატეგორიაში მე-2 ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლითა და თასით დაჯილდოვდა, (მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი).

ძიუდო

ქ. ბოლნისში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2004-2006 წლებში დაბადებულთა შორის ძიუდოში. ტურნირში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

50 კგ. წონით კატეგორიაში **საბა ცეცხლაძემ** მე-2 ადგილი დაიკავა, ხოლო 45 კგ. წონით კატეგორიაში **გიორგი სირაძე** მესამე იყო, (მწვრთნელი **დავით ჩიკაშუა).**

გასწორება

გაზეთის წინა ნომერში, ბოლო გვერდზე გამოქვეყნებულ მილოცვაში, რომლითაც ბატონ ივანე ჩხაიძეს ულოცავენ იუბილეს, ნაცვლად „აკადემიური დოქტორისა“, უნდა ეწეროს „სრული დოქტორი“.

7 დღის ამინდის პროგნოზი

25 ივნისი, ორშაბათი	26 ივნისი, სამშაბათი	27 ივნისი, ოთხშაბათი	28 ივნისი, ხუთშაბათი	29 ივნისი-პარასკევი	30 ივნისი, შაბათი	1 ივლისი, კვირა
მზე ღრუბელი +18+25	მზე ღრუბელი +19+26	მზე ღრუბელი +20+29	მზე ღრუბელი +21+29	წვიმა +19+24	წვიმა +18+24	წვიმა +17+24